



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 26

02/03/2018

ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში პირველი კატეგორიის უფროსი
სპეციალისტის ეკა შეყრილაძის შვებულების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 54-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად და ე.შეყრილაძის 2018 წლის 1 მარტის №23-46 განცხადების საფუძველზე ვბრძანებ:

მუხლი 1. გაშვებულ იქნას ანაზღაურებად შვებულებაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკა შეყრილაძე 2018 წლის 5 მარტიდან 16 მარტის ჩათვლით 9 სამუშაო დღის ვადით. საშვებულებო ანაზღაურების დარიცხვა მოხდეს წინასწარ.

მუხლი 2. ბრძანება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატის უფროს სპეციალისტს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო